პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 176 (5206)

1974 წ. 5 სექტემბერი ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადგილები განაწილდა

როგორც ცნობილია, მოსკოვში დამთავრდა მოჭადრაკეთა გუნდური საკავშირო პირველობა. ოთხი გადადებული პარტიის დამთავრების შემდეგ გუნდები სატურნირო ცხრილში საბოლოოდ ასე განაწილდნენ: „ბურევესტნიკი" — 49,5 ქულა, ცდსა — 47,5, „ტრუდი" — 46, „სპარტაკი" — 45, „დინამო" — 42, „ავანგარდი" — 41,5, „დაუგავა" — 40,5, „ლოკომოტივი" — 38, „ზენიტი" — 31,5, „მოლდოვა" — 24,5.

ჩვენი გაზეთის 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ბ. სპასკისა და ტ. პეტროსიანის პარტიის გადადებული პოზიცია.

გთავაზობთ ამ პარტიის დასასრულს: 41. ე:e6 (სპასკის ჩაწერილი სვლა) მe4+ 42. მფf7 ეc7+ 43. ეe7 g5 44. კf6 gh 45. კ:h4 a2 46. e6 მd6+ 47. მფf6 ყაიმი.

## უყაიმო სტარტი

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, სტარტი აიღო ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალმა.

პირველობაში მონაწილეობენ (წილისყრის მიხედვით): პ. სამოხინა (ოდესა), ე. გრიგორიევა (ლენინგრადი), ვ. ვოლიუვაჩი (ხარკოვი), ა. ვოლკოვა (ვოროშილოვგრადი), ფ. ნიგმატზიანოვა (ყაზანი), გ. გრეპერი (ალმა-ათა), ნ. ლოგინოვა (მინსკი), ა. ხრულიოვა (ოდესა), ა. როსინსკაია (მოსკოვი), ლ. ანდრიევსკაია (ფრუნზე), ს. პაშკევიჩი (ლვოვი), რ. ტარმინოვა (თბილისი), ლ. გაივორონოვა (ლენინგრადი), თ. ილინა (კიმინიოვი).

3 სექტემბერს გამართულ I ტურში სამოხინამ მოუგო ილინას, გრიგორიევამ — გაივორონოვას, ვოლიუვაჩმა — ტარმინოვას. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

პირველობა 24 სექტემბრამდე გასტანს.

## პირველად ფინალში

ვიტებსკში დამთავრდა საერთაშორისო შაშში საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი. თოთხმეტ მონაწილეს შორის იყო საქართველოს წარმომადგენელიც — ახალგაზრდა ოსტატი ბ. შავერდიანი.

თბილისელმა მოშაშემ წარმატებით იბრძოლა და ფინალის საგზური მოიპოვა. მან 8 ქულით IV ადგილი დაიკავა.

შავერდიანი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია, მან ორჯერ ითამაშა ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში (II ადგილი). საერთაშორისო შაშში საკავშირო ჩემპიონატის ფინალში პირველად ითამაშებს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი.

ზ. ტალახაძე.

## მსოფლიო ჩემპიონატის ექო

მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი უკვე სპორტის ისტორიის კუთვნილება გახდა. ჰავანაში გამართულმა ასპარეზობამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ მთელი შეჯიბრების მანძილზე კუბის რესპუბლიკის დედაქალაქის 14-ათასიანი სპორტის სასახლე „კოლიზეი" მუდამ სავსე იყო მაყურებლებით. ადგილობრივმა პრესამ ფართოდ გააშუქა ჩემპიონატის მსვლელობა, მისი შედეგები. გაზეთმა „ხუვენტუდმა" ხაზი გაუსვა ჩემპიონატში სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა დიდ წარმატებას. მან დაბეჭდა კუბის კრივის ფედერაციის თავმჯდომარის ვ. ხანტიაგოს ინტერვიუ, რომელშიც ლაპარაკია კუბელი მოკრივეების მიმართ საბჭოთა სპეციალისტების დიდ დახმარებაზე. განსაკუთრებით ემადლიერებიან ა. ჩერვონენკოსა და ვ. რომანოვს, რომლებმაც ბევრი გააკეთეს კუბაში კრივის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის.

გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ ამერიკელი დევისისა და საბჭოთა მოკრივე კუზნეცოვის შეხვედრის დროს მიკერძოებულ მსაჯობას. გაზეთი „გრანმა" პირდაპირ იუწყება, რომ გამარჯვება დაიმსახურა კუზნეცოვმა.

მკითხველებისთვის საინტერესო იქნება მსოფლიო ჩემპიონატის სტატისტიკა. „კოლიზეიში" სულ ჩატარდა 252 შეხვედრა, აქედან 27 დასრულდა ნოკაუტით, 50 ორთაბრძოლა შეწყდა ერთ-ერთი მეტოქის აშკარა უპირატესობის გამო.

ყველაზე მეტი ჯაფა დაადგა ექვს არბიტრს, რომლებიც 18-18-ჯერ ავიდნენ რინგის კვადრატზე. მათ შორის იყო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ბიატიგორსკელი ბ. სავინი.

აი, როგორ განაწილდა გუნდური ადგილები: I. კუბა (19 ქულა), II. სსრ კავშირი (14), III. აშშ (8), IV-V. იუგოსლავია, რუმინეთი (5-5), VI-VIII. უგანდა, ვენესუელა, პუერტო-რიკო (4-4).

## „მეგობრობა" პოპულარული ტურნირია

ახალგაზრდა მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი — „მეგობრობა" დიდი პოპულარობით სარგებლობს სოციალისტური ქვეყნების ათლეტებში. ამას წინათ ვოროშილოვგრადში ჩატარდა „კლასიკოსთა" ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. ძლიერი შემადგენლობა მიზეზი გახდა საინტერესო და დაძაბული ბრძოლებისა ყველა წონით კატეგორიაში.

ასპარეზობის მესამე დღეს დაასახელა ამ ტურნირის ჩემპიონები. წონითი კატეგორიის მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ელინეკმა (ჩეხოსლოვაკია), ა. ასლანიანმა, მ. მეხრალიევმა (ორივე — სსრ კავშირი), ხ. იგნატოვმა (ბულგარეთი), ს. ნალბანდიანმა, ა. კოტიკიანმა, ა. დონსკოვმა, პ. ლოსმა, ა. მინასიანმა (ყველა — სსრ კავშირი), ს. ივანოვმა (ბულგარეთი).

ორიოდე სიტყვა სოხუმელ ა. მინასიანზე, რომელმაც ამ ტურნირშიც გამოიჩინა თავი, როგორც გაბედულმა მებრძოლმა. მან 4 შეხვედრა ჩაატარა ვოროშილოვგრადის ხალიჩაზე, სამი წმინდად მოიგო, ერთიც — ქულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მინასიანის გამარჯვება შ. კლაუსთან (გდრ). შერკინების დაწყებიდან 48 წამის შემდეგ კლაუსი დამარცხებული აღმოჩნდა. სპეციალისტებმა ხოტბა შეასხეს სოხუმელ მოჭიდავეს.

სსრ კავშირის გუნდის სავარაუდო შემადგენლობაში ჩარიცხული იყო კიდევ ოთხი ათლეტი საქართველოდან. ორმა მათგანმა — ე. მაჩაიძემ და მ. ლეჟავამ სარბიელზე გამოსვლა ვერ შესძლეს ავადმყოფობის გამო, ხოლო რ. აბრამიშვილი და ი. ჯუღელი უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ.

თ. ფცქიალაძე.

... 19 45

◆ ჰააგა, 4 სექტემბერი. 3:2 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ასეჯრიან შაშში მსოფლიოს ორი უძლიერესი გუნდის — სსრ კავშირისა და ჰოლანდიის ნაკრები კოლექტივების ტრადიციული, რიგით მერვე სამატჩო შეხვედრის პირველი დღე. აი, შედეგები დაფების მიხედვით: ევროპის ჩემპიონი ა. ანდრეიკო დაუზავდა ხ. ვირსმას, ხოლო სსრ კავშირის ჩემპიონი ა. განტვარგი — ფ. დროსტს. ვ. შჩოგოლევმა სძლია კ. ფარკევისერს. ი. კუპერმანისა და ი. დე რეიტერის პარტია ყაიმით დასრულდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა ა. მოგილიანსკის შეხვედრა ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონ ი. კლერკთან. წინ კიდევ სამი ტურია.



## წყალში მხტომელები... ზღვაში

სოხუმში ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება წყალში ხტომაში. ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში სახელმწიფო მწვრთნელს ვ. გოიაშვილს ვთხოვეთ მოგვეთხრო ამ შეჯიბრების შესახებ.

— წყალში მხტომელების შედეგები კვლავინდებურად არასახარბიელოა, — თქვა სახელმწიფო მწვრთნელმა. — მაგალითად, კოშკიდან ხტომაში როგორც ქალების, ისე ვაჟების ასპარეზობის მეორე და მესამე პრიზიორებმაც კი ვერ შეასრულეს სათანრიგო მოთხოვნები. უკეთეს შედეგებს არც მოველოდით. ამას ბევრი მიზეზი აქვს, რომელთა შესახებაც უთვალავჯერ თქმულა და დაწერილა. მაგალითად, დღეს მთელს საქართველოში ერთადერთი აუზიც არ მოიძებნება, სადაც წყალში მხტომელებს (და არა მარტო მათ) ვარჯიში შეეძლებათ: უწყლო აუზში ჩვენი მტერი გადახტა. ამიტომაც იყო, რომ სოხუმში საქართველოს თასის გათამაშების მონაწილენი — თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის სპორტსმენები... ზღვაში ასპარეზობდნენ.

დაბალი შედეგების მეორე მიზეზი ჩვენი საუკეთესო წყალში მხტომელების გადაღლითაც აიხსნება: მათ მრავალ საკავშირო ასპარეზობაში მიიღეს მონაწილეობა. ისინი ძირითადად თბილისელი ნორჩი სპორტსმენები არიან. მათზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ერთ-ერთი მათგანია სვეტლანა ნიკოლოტოვა. ამ გოგონამ მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებით საბოლოოდ დაიჯავშნა ადგილი ჩვენი ქვეყნის ნაკრებში. იგი ვენაში ამას წინათ გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო ვერ მოხვდა.

საკავშირო ნაკრების მესვეურებმა წლეულს კიდევ რამდენიმე ჩვენს ნორჩ სპორტსმენს დაადგეს თვალი, მაგრამ გვაშფოთებს ჩვენში ტითებზე ჩამოსათვლელი აუზები, რომლებიც, ამასთან, უწყლოდაა. ასეთ პირობებში კი...

ახლა თვით შეჯიბრების შესახებ. გუნდურ პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისი — 2371,72 ქულა, აფხაზეთი — 2368,89, აჭარა — 868,04.

პირად პირველობაში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის გაიმარჯვა თბილისელმა ლ. ფირალიშვილმა, ვაჟებში — ბათუმელმა კ. იადრიშნიკოვმა. კოშკიდან ხტომაში ქალებში საუკეთესო იყო ს. ნიკოლოტოვა, ვაჟებში — სოხუმელი ა. მესუმიანი.

ა. ჟუჟიშვილი.

* * *

სურათზე: ს. ნიკოლოტოვა ასპარეზობისას.

ავტორის ფოტო.

## სოფლის მეორე თამაშების ფინიში

СЕЛЬСКИЕ ИГРЫ 74 II СССР

სარატოვი, 2 სექტემბერი. აქ დამთავრდა სოფლის II საკავშირო სპორტული თამაშების ფინალური შეჯიბრებები. სტუმართმოყვარე სარატოვმა კარგი მასპინძლობა გაუწია სოფლის სპორტსმენებს.

ვოლგისპირა ქალაქის სტადიონებმა, სპორტის სასახლემ და ღია მოედნებმა თითქმის 2000 სპორტსმენ-ფინალისტი მიიღეს. მთავარი გუნდური თასი, როგორც პირველ თამაშებში 1970 წელს, რუსეთის ფედერაციის „უროჟაიმ" მოიპოვა. უკრაინის „კოლოსის" წარმომადგენლებმა კვლავ II ადგილი დაიკავეს. შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა III ადგილისთვის. სამბისტებისა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ბოლო დღეების შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლით ბელორუსიის გუნდმა აჯობა ესტონეთის „იიუდს" და III ადგილი დაიმსახურა. IV და V ადგილები შესაბამისად დაიკავეს ესტონეთისა და ყაზახეთის სპორტსმენებმა. „ქაირათმა" (ყაზახეთი) ლატვიის „ვარპას" სულ 7,5 ქულით გაუსწრო.

ყველა სპეციალისტი აღნიშნავს სარატოვში ნაჩვენები შედეგების მაღალ დონეს. ფინალური თამაშები დაამშვენა ჭაბუკი ძალოსნის ა. საიდულაევის (რსფსრ) მსოფლიო რეკორდმა, სოფლის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა 9 უმაღლესმა მიღწევამ. შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა.

თამაშების შედეგები შეაჯამა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სოფლის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. კუზნეცოვმა:

— წლევანდელმა თამაშებმა დიდი სარგებლობა მოუტანა სოფლის სპორტს, — თქვა კუზნეცოვმა. — სტარტზე გამოდიოდა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა მილიონობით ფიზკულტურელი. მათ საგრძნობლად შეავსეს მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რიგები. სოფლად სპორტსმენთა ოსტატობაც ამაღლდა. მხოლოდ წლევანდელ ზაფხულში სსრ კავშირის სპორტის ოსტატის შედეგი 460 კაცმა აჩვენა, ოცდაოთხმა კაცმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, ხოლო ოცდათორმეტმა გაიმარჯვა და საპრიზო ადგილები მოიპოვა სსრ კავშირის პირველობებში.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ფინალები კარგად ჩატარდა. სპორტის რვავე სახეობაში ისინი კარგად იყო მოწყობილი. ამას ხელი შეუწყვეს სარატოველებმა — ოლქის პარტიულმა, საბჭოთა და სპორტულმა ორგანიზაციებმა. სპორტსმენები კეთილად გაიხსენებენ სარატოვისა და ენგელსის კომკავშირელებს, რომლებიც მათ შეფობას უწევდნენ.

გაისად სოფლის ფიზკულტურელებს საპასუხისმგებლო სტარტები მოელით სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით. ახლა მთავარი ამოცანაა, რომ მშდ კომპლექსის საფუძველზე გაგრძელდეს თამაშები ძირეულ კოლექტივებში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას სოფლის მშრომელთა სულიერი და ფიზიკური სრულყოფისთვის საჭიროა ვუპასუხოთ თავდადებული შრომით მინდვრებსა და ფერმებში, წარმატებებით სპორტში.

„თამაშები დამთავრდა — თამაშები გრძელდება" — ასეთია სოფლის სპორტსმენთა ცხრამილიონიანი არმიის სადღეისო დევიზი.

ა. სიროვატკინი,
ი. ვანიატი.
(საკუთარი სპეც. კორ.).

# საუბარი პენალტის დიდოსტატთან

გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მიხეილ ბერძენიშვილს 60 წელი შეუსრულდა. „ლელოს" რედაქცია სარგებლობს შემთხვევით და ფეხბურთის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებთან ერთად ულოცავს სახელოვან ვეტერანს ღირსეულ იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებს შრომაში და ცხოვრებაში.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა მ. ბერძენიშვილს. ამ ინტერვიუს გთავაზობთ მკითხველებს.

● ახალგაზრდა გულშემატკივრეაძა ნაკლებად იციან თქვენი სპორტული ბიოგრაფია. ამიტომ გთხოვთ მოკლედ გააცნოთ იგი მკითხველებს.

— თბილისის „დინამო", როგორც იცით, 1925 წელს ჩამოყალიბდა. მაშინ გუნდში თამაშობდნენ ანდრო ჟორდანია, დავით ცომაია, ნიკოლოზ ანიკინი, ასირ გალპერინი, ვლადიმერ თუოქია, ანდრო ფოისუა, შერმადინ სიხარულიძე, გიგა ქებაძე და სხვანი. მე „დინამოში" მოვედი 1928 წელს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა პირველ გუნდში. „ნათლობა" მოხდა ბორჯომის ქუჩის ერთ-ერთ ეზოში, სადაც ბიჭები დილიდან ვთამაშობდით ბურთს. ანდრო ჟორდანია რამდენიმეჯერ დაესწრო ამ თამაშებს, მერე მიგვიწვია „დინამოს" სტადიონზე (იგი მაშინ პლეხანოვის პროსპექტზე იყო) და დაგვარქვა მეოთხე გუნდი. მოგვცეს ფორმა, ბურთები, დაგვინიშნეს მწვრთნელი. ასე გავხდი დინამოელი.

მაგრამ „დინამო" უკვე მაშინ არ წარმოადგენდა ჩემთვის უცხო ხილს. აქ, მესამე გუნდში, თამაშობდნენ ჩემი უფროსი ძმა ბუკა, შოთა შავგულიძე, ვლადიმერ კოსტიუკოვი და სხვანი.

ახალგაზრდები თანდათან ვიწაფებოდით, მივიწევდით ზევით და 1934 წელს უკვე პირველ გუნდში ვიყავით. ასე რომ, ჩემი თავი შემიძლია მივაწერო თბილისის „დინამოს" პირველ თაობას, იმათ, ვინც იწყებდა ამ გუნდის ისტორიას. 1935 წელს უკვე ამიერკავკასიის ნაკრებში მოვხვდი, რომელმაც რამდენიმე საერთაშორისო მატჩი ჩაატარა სკანდინავიის ქვეყნებში.

1946 წლამდე ვთამაშობდი თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში ჯერ შუამარბად, შემდეგ კი ნახევარმცველად, 1947 წელს მიხეილ მინაევთან ერთად ვმუშაობდი დინამოელთა მწვრთნელად, შემდეგ გადავედი თბილისის ცნობილ 35-ე საფეხბურთო სკოლაში, მერე კვლავ დავუბრუნდი „დინამოს", სადაც სხვადასხვა თანამდებობაზე ვიყავი. სპორტთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია.

● რამდენიმე სიტყვა მაშინდელ ფეხბურთზე, იმდროინდელ მოთამაშეებზე...

— „დინამოში" თბილისელთა გარდა მაშინ საკმარისად იყვნენ ჩამოსულებიც, კერძოდ, ფოთელი ფეხბურთელები: პაიჭაძე, გაგუა, ჯორბენაძე, ელიავა, ვლადიმერ ბერძენიშვილი, ხარბედია და სხვანი. არ დაგიმალავთ, ხშირად გვიჭირდა, ბიჭები ბევრჯერ დარჩენილან უბინაოდ (სასტუმრო „პალასის" დირექცია მათ ასახლებდა ფულის გადაუხდელობისთვის), ზოგჯერ საჭმლის ფულიც არ გვქონია, მაგრამ მტკიცედ გვაკავშირებდა ფეხბურთი და კოლექტივი. ვვარჯიშობდით და ვთამაშობდით განუწყვეტლივ, დაღლა არ ვიცოდით, წვიმა და სიცხე ჩვენთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა.

შემდეგ, როცა „დინამოს" ახალი სტადიონი აშენდა, გამოგვიყვეს საერთო საცხოვრებელი, საკვებად მიგვამაგრეს ბუფეტში და ძეხვი, ყველი და პური მაინც გაგვაჩნდა. რაც მთავარია, გვქონდა მუდმივი სავარჯიშო ადგილი, შეგვეძლო მინდორზე გაგვეტარებინა მთელი დღე.

ანდრო ჟორდანიას ასეთი წესი ჰქონდა: ორშაბათობით ორ-ორ მასიურს გვაცმევდა, შუადღის 12 საათზე სიქას გვაცლიდა თაკარა სიცხეში ვარჯიშით, რომ საღამოს საათებში კალენდარული თამაშები ადვილად გადაგვეტანა. ამიტომ იყო, რომ ზაფხულის თვეებში იოლად ვუმკლავდებოდით ჩრდილოეთიდან ჩამოსულ გუნდებს: შეჩვეულებს სიცხე არ გვაწუხებდა.

საერთოდ, წვრთნა და ვარჯიში ჩვენთვის არ წარმოადგენდა მძიმე, იძულებით სამუშაოს. მახსოვს, როცა 1936 წელს მწვრთნელად დაგვინიშნეს ჩეხი სპეციალისტი ჟიულ ლიმბეკი, იგი ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი გულმოდგინებით, შრომისმოყვარეობით. როცა შემოდგომაზე სათამაშოდ მივემგზავრებოდით რუსეთში, ლიმბეკი სპეციალურად მოარწყვევინებდა სათამაშო მინდორს, წყალს დააგუბებდა ზედ და ასე გვავარჯიშებდა, შესაჩვევად. არც ერთ დინამოელს აზრადაც არ მოუვიდოდა რაიმე მიზეზით გაეცდინა ასეთი გართულებული წვრთნა.

რაც შეეხება მაშინდელ ფეხბურთს და მის შედარებას ახლანდელთან, ეს ცალკე საუბრის თემაა და ზერელედ მასზე ლაპარაკი არ შეიძლება. ფეხბურთი, ისევე როგორც სხვა ყველაფერი, არ დგას ადგილზე, ვითარდება, წინ მიდის. იგი ძალიან შეიცვალა ტაქტიკური თვალსაზრისით, გაღრმავდა, გართულდა. შეუდარებლად გაიზარდა თამაშის ინტენსიურობა, ტემპი, მოძრაობა, დატვირთვები. უწინ თითოეულ ფეხბურთელს თავისი გარკვეული ფუნქციები ჰქონდა და ისინი უნდა შეესრულებინა. მაგალითად, მარჯვენა გარემარბი თავის ზონაში მოქმედებდა და იქიდან იშვიათად თუ გადაინაცვლებდა სხვაგან. ახლა ასე აღარაა. საფეხბურთო აზროვნების პროგრესის შედეგად შეუდარებლად გაიზარდა მოთამაშეთა სამოქმედო დიაპაზონი, ახლა მათ ესაჭიროებათ უდიდესი ფიზიკური მომზადება, ყოველმხრივი, უნივერსალური მზადყოფნა. თუ უწინ ფეხბურთელი თავს გაიტანდა ერთი რომელიმე გამოკვეთილი თვისებით, მაგალითად, სისწრაფით, ძლიერი დარტყმით, დრიბლინგით, ახლა მხოლოდ ერთი ასეთი თვისება მას არ ეყოფა. მოთამაშეს უნივერსალის სრული კომპლექსი უნდა ჰქონდეს.

ვიტყვი საკუთარ თავზე. მაშინდელი ჩემი ფიზიკური მომზადება, თავით თამაშის ტექნიკა, მოძრაობის დიაპაზონი არ იქნებოდა საკმარისი ახლანდელი, ეგრეთ წოდებული ტოტალური ფეხბურთისთვის და მომიხდებოდა სხვაგვარი საერთო მოსამზადებელი ციკლის გავლა. მაშინ ვთამაშობდით სისტემით „ხუთი ხაზზე", შემდეგ — „დუბლვეს", ახლა სხვა სისტემებია და ორგანიზმს სხვაგვარი მომზადება ესაჭიროება.

მაგრამ ფეხბურთელის ტალანტი, მისი თვისებები და შესაძლებლობანი მუდამ იყო და დარჩება მთავარ კრიტერიუმად ფეხბურთში. იმდროინდელი მოთამაშე ასრულებდა იმას, რაც მაშინ იყო საჭირო, ეს ასეა, მაგრამ იგივე მოთამაშე სხვა სისტემისას სხვაგვარად იმოქმედებდა და სხვა სკოლას აითვისებდა. მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ ფედოტოვი, პაიჭაძე, ბობროვი, ჯეჯელავა, ღოღობერიძე, პონომარიოვი, პანიუკოვი და წარსულის სხვა გამოჩენილი ფეხბურთელები დღესაც ისეთივე პირველხარისხოვანი ოსტატები არ იქნებოდნენ, როგორც მაშინ იყვნენ. ტალანტი ტალანტია და სპორტსმენი თავის ნიჭს მუდამ გამოაჩენს, მუდამ შეეწყობა ახალ ტაქტიკას, როგორიც უნდა იყოს იგი. ისე კი, ყველანი კარგად ხედავთ, რომ დღევანდელ ჩვენს ფეხბურთს სწორედ ნათელი, აშკარად გამოხატული ტალანტები, ნიჭიერი ფეხბურთელები აკლია, უწინ კი ისინი მრავლად იყვნენ.

● რას იტყვით თბილისის „დინამოს" ახლანდელ კრიზისზე?

— დროზე არ ჰქონდა გუნდს ახალი შევსება. ხანი გადის, წლებს თავისი მიაქვს, ვეტერანები თანდათან თმობენ პოზიციას და მათი შემცვლელები დროულად უნდა გამოინახონ. ეს არაა ახალი ამბავი. ჩვენი დროის გუნდსაც დაუდგა კრიზისის პერიოდი, მაგრამ მაშინ გამონახეს ახალგაზრდები და თანდათან, მეთოდურად შეიყვანეს ძირითად შემადგენლობაში. ასეთი ოპერაციის ჩატარება, ვფიქრობ, ახლაც იყო საჭირო.

მაგრამ როცა ვლაპარაკობ ახალ მოთამაშეებზე, მარტო ასაკის ფაქტორს არ ვგულისხმობ. საჭიროა ახალი ტიპის ფეხბურთელები, ისინი, ვინც აითვისებს თანამედროვე სტილით თამაშს, სწორედ ისეთს, რომელიც სულ ახლახან ვიხილეთ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში, თორემ თბილისის „დინამო" ახლა სწორედ იმ ჩამორჩენილ, გუშინდელ ფეხბურთს თამაშობს, რომელსაც არ შეუძლია წარმატების მოტანა და, როგორც ხედავთ, არც მოაქვს. გუნდი ცოტას მოძრაობს, საჭირო ენერგიით არ იბრძვის, როცა ბურთი ერთ რომელიმე მოთამაშეს აქვს, სხვები ამ დროს უქმად არიან, არ იხსნებიან, არ ასრულებენ რთულ მანევრებს, მოვლენათა მიღმა რჩებიან. ზიანი მოაქვს ბურთის ზედმეტ გაჩერებასაც. ვინ ატარებს ახლა ბურთს, თუ პარტნიორი უკეთეს მდგომარეობაშია? არავინ, ჩვენი ფეხბურთელების გარდა. დაუმატეთ ამას, რომ დაბალ დონეზე დგას მოთამაშეთა სანებისყოფო თვისებებიც. ყოველი გაშვებული ბურთი დინამოელებში იწვევს მეტისმეტად უარყოფით რეაქციას, გუნდი ყრის ფარ-ხმალს, ნებდება, არ იჩენს საბრძოლო თვისებებს და მობილიზების უნარს.

● თქვენს „ვიწრო პროფესიას" ფეხბურთში პენალტების გატანა წარმოადგენდა. რას გვეტყვით, გქონდათ რამე საიდუმლოება 11-მეტრიანების დარტყმისას?

— რასაკვირველია, პენალტი ბევრს წარმოუდგენია ასპროცენტიან გოლად, მაგრამ ეს რომ ასე არაა, თუნდაც სტატისტიკიდან ჩანს. გარდა ამისა, პენალტის გატანა უეჭველად შეიძლება — ელემენტარული ძლიერი დარტყმით, მაგრამ შეიძლება ლამაზადაც, მოფიქრებულად, ტექნიკურად. მაყურებელს უყვარს ასეთი პენალტი. ჩემს დროს საუკეთესოდ არტყამდნენ 11-მეტრიან საჯარიმოს ბუტუსოვი, გლაზკოვი, კაპელკინი, კარცევი, გრებერი, მალიავკინი, იყვნენ პენალტის აღების სპეციალისტი მეკარეებიც, მაგალითად, ჟმელკოვი.

ჩემი საიდუმლოება უბრალო იყო: პენალტის ასაღებად გამზადებული მეკარე აუცილებლად ერთ რომელიმე მხარესაა გადახრილი. გამორბენის დროს მას თვალს არ ვაცილებდი და მუდამ საწინააღმდეგო მხარეს ვურტყამდი, ვინაიდან მეკარე ვეღარ ასწრებს ტანში გამართვას და მეორე მხარეს გადახტომას. ეს იყო მთავარი. ამას კი ვუმატებდი ცრუ მოძრაობას ფეხით ისე, რომ დარტყმის მიმართულების შეცვლას ვასწრებდი ბოლო მომენტში, როცა ფეხი უკვე ეხებოდა ბურთს.

პენალტის დარტყმაზე ვვარჯიშობდი სპეციალურად, დოროხოვთან ერთად. ვრჩებოდით ორნი და ერთ საათს ვუთმობდით მხოლოდ 11-მეტრიანებს. ვვარჯიშობდით სერიოზულად, სისტემატურად, უშეღავათოდ და რომ ყურადღება არ მოგვედუნებინა, ვდებდით სანაძლეოს, რომლის გადახდა სავალდებულო იყო. 20 პენალტიდან ოცივე უნდა გამეტანა და თუ დოროხოვი ერთს მაინც აიღებდა, წაგებული ვიყავი. მაგრამ არ მახსოვს წამეგოს, შურა კი მაშინ ბრწყინვალე მეკარე იყო და 11-მეტრიანებსაც კარგად იღებდა.

ასეთი ვარჯიშის შემდეგ მარტო ვრჩებოდი და ისევ ოცჯერ ვარტყამდი ორივე კუთხეში. ბურთი კარში აუცილებლად უნდა გასულიყო ძელიდან ნახევარი მეტრის დაცილებით.

შემდგომში პენალტების დარტყმაში ვავარჯიშებდი ღოღობერიძეს, ხასაიას, იამანიძეს, მეტრეველს, ვახტანგ ჭელიძეს, მაგრამ მათ ერთი სერიოზული ნაკლი ჰქონდათ — უმთავრესად ერთ რომელიმე კუთხეში ურტყამდნენ, ეს კი მეკარეებს გარკვეულ შანსს უქმნიდა.

● დაბოლოს, თქვენი გეგმები?

— კვლავინდებურად „დინამოში" ვმუშაობ, ფეხბურთს ვერ ვშორდები. ჩემი „გეგმა" იგივეა, რაც თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებისა: მოუთმენლად მოველი, როდის აღიდგენს უწინდელ სიძლიერეს თბილისის „დინამო".



6 ათეული წელი საკმარისია იმისთვის, რომ კაცმა, როგორც იტყვიან, ლურსმანზე ჩამოკიდოს ბუცები და ახალგაზრდების თამაშით შეიქციოს თავი, მაგრამ მ. ბერძენიშვილი მაინც გამოდის ხოლმე მინდორზე, იხსენებს ახალგაზრდობის წლებს.

სურათზე: დილმის საწვრთნელ ბაზაზე მ. ბერძენიშვილი არტყამს 11-მეტრიან საჯარიმოს.

„ლელო" ინტერვიუ

## ჯანსუღ ნიჟარაძე




### ბალადა

მცხეთის ბოლოს, წყაროს თავზე,
გაეშალა პურ-მარილი,
მარტოხელა გოლიათი
სუფრას უჯდა სტუმარივით.
ნამეხარი კაკლის ჩერო
მხარ-ბეჭს ძლივსღა უფარავდა,
მზეზე ორთქლი ასდიოდა
იქვე მიყრილ გუდა-ნაბადს.
უთენია შინისაკენ
წამოსულა გორიდანა,
სვეტიცხოვლის შემოხედვამ
გუნებაზე მოიყვანა.
მაგრამ, დახეთ, თითქოს ჯიბრზე
მგზავრი არ ჩანს არსაიდან,
რომ სუფრასთან მოიწვიოს,
გვერდს მოისვას ძმასავითა...
უცებ ხედავს ერთი-ორად
გაფართოვდა კაკლის ჩერო...
უკვირს თუა სასწაული,
ახლა უნდა დავიჯერო!
ორბის თვალი არემარეს
მიმოავლო უსიამოდ,
წყაროს თავთან იდგა დევი,
გაუხარდა, რუსიაო,
შეუძახა: — ძიაკაცო,
ღმერთმა დიდი ჯანი მოგცეს,
ნაგზაური კაცი ჩანხარ,
მოდი, სუფრა დამილოცე!
ჩაიუხლა დევმა მოლზე,
ღვინო იყო ლალისფერი...
ვიცოცხლოთო, თქვა და უცებ
ცას უჩვენა ჯამის ფსკერი.
— აი, ღმერთმა აგაშენოს,
ვატყობ, მწყალობს დღესაც ბედი!—
თან სიცილით მიაყოლა
სუფრის ერთი მესამედი.
სვეს, ილხინეს, ვიდრე გუდას
ღვინით სავსე ედგა სული,
ვიდრე მცხეთით ამოგორდა
ცაზე მთვარე ფერწასული.
მასპინძელმა ჰკადრა მაშინ,
თუმცა თქმა კი გაუძნელდა:
— შენისთანა ხუთ კაცს კიდევ
სოფლელიც ვერ გაუძლებდა!
გოლიათი მწვანიანზე
გადაგორდა ხარხარითა:
— პოდდუბნი ვარ, თქვენებური
კანდელაკის ნახვა მინდა!
ზე წამოდგა მასპინძელი,
ჯამი მოსვა სანახევროდ,
თქვა: — დღე ჩემი სტუმარი ხარ,
ხვალ კი სანდროს განახებო!
მზეში იწვის ცა და მიწა,
ქალაქს თითქოს ბოლი ასდის,
შუადღეა... არენაზე
დგება ორი გოლიათი.
სანდრომ ღიმით უთხრა სტუმარს:
— იმ დღეს კარგად გამიძელი!—
პოდდუბნიმაც იცნო უმალ
მისი ძველი მასპინძელი.
— ღმერთო ჩემო, ნუთუ შენ ხარ?!
— მე გახლავარ, არა ცდები! —
და ერთმანეთს სალმის შემდეგ
შეეჭიდნენ ვაჟკაცები.
ქართულ ჰანგებს — საჭიდაოს,
არ დაუდო ტოლი დოლმა...
ჰა, პოდდუბნიმ უცებ სანდროს
მოტყუება მოინდომა.
მაგრამ დახვდა გოლიათი
მუხასავით საიმედოდ.
„მამისტოლა კაცი არი,
მიჭირს, როგორ გავიმეტო".
—მიდი, მიდი! — ყმაწვილები
დასძახიან ქანდარიდან.
ფრთხილობს სანდრო, მაგრამ უცებ
შეტევაზე გადავიდა.
წუთი წუთებს მარცვლავს ფრენით,
დრო თავისას აღარ იშლის...
გამარჯვება ერგო ძმობას,
საბოლოო ანგარიშით...
პოდდუბნი და კანდელაკი —
წარსული და მომავალი —
იდგა როგორც ორი მუხა,
მძლეთამძლე და რტომრავალი.



## იწყება ფრენბურთელები

8 სექტემბერს ჩვენი რესპუბლიკის 21 ქალაქში გაიხსნება საქართველოს VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფრენბურთელთა ზონალური შეჯიბრებები.

ამ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ვაჟთა 30 და ქალთა 14 გუნდი. წინა წლებისგან განსხვავებით, გუნდები მატჩებს გამართავენ როგორც თავის, ისე მეტოქის მოედანზე.

სპარტაკიადის დებულებით, თამაშები გაიმართება ხუთი პარტიისგან. ზონებში I-VI ადგილებზე გასულ გუნდებს ეთვლებათ ქულები. გუნდი, რომელიც სათამაშოდ არ გამოცხადდება, შეჯიბრებიდან მოიხსნება.

გთავაზობთ 8 სექტემბრის თამაშების კალენდარს: ვაჟები: ცაგერი — ორჯონიკიძე, ცხაკაია — აბაშა, ხობი — ჩხოროწყუ, სამტრედია — წალენჯიხა, ჩოხატაური — მახარაძე, ზესტაფონი — თერჯოლა, წყალტუბო — საჩხერე, გეგეჭკორი — ვანი, წალკა — თეთრი წყარო, ხაშური — ბორჯომი, მცხეთა — თიანეთი, თელავი — ლაგოდეხი, გურჯაანი — წითელი წყარო, გარდაბანი — ბოლნისი; ქალები. წყალტუბო — საჩხერე, ჩოხატაური — მახარაძე, სამტრედია — წალენჯიხა, ცაგერი — ორჯონიკიძე, წალკა — თეთრი წყარო, ხაშური — გარდაბანი.

თამაშები გაიმართება პირველად დასახელებული ქალაქების მოედნებზე, ხოლო 15 სექტემბერს იგივე მეტოქეები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს. თამაში ყველა ქალაქში 16 საათზე იწყება. უამინდობის შემთხვევაში, თუ რაიონში სპორტული დარბაზი არ არის, თამაში შედგება მეორე დღეს.

# ფეხბურთი ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### უმაღლესი ლიგა

გუშინწინ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

„დინამო" (კიევი) — „ზარია" 5:0. სსრ კავშირის თასის გათამაშების ამასწინანდელ ფინალისტთა მატჩში სრული უპირატესობა კიეველთა მხარეს იყო. გამარჯვებულთაგან 3 ბურთი გაიტანა ბლოხინმა, რომელიც ახლა ალმაათელ იონკინთან ერთად სათავეში უდგას ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას (18 ბურთი).

„ფახთაქორი" — „დნეპრი" 5:0. ტაშკენტელებმა დიდი ალმავლობით ჩაატარეს შეხვედრა და იოლად დაამარცხეს სტუმრები.

„ტორპედო" — „არარატი" 1:0. ტორპედოელებმა წლევანდელი გათამაშების თავისებური რეკორდი დაამყარეს: მათ ზედიზედ მოიგეს 7 კალენდარული მატჩი. ერევნელთა კარში ბურთი გაიტანა მცველმა ტუმანოვმა.

### უმაღლესი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (კ.) | 20 | 10 | 8 | 2 | 32—12 | 28 |
| „ზენიტი" | 21 | 6 | 13 | 2 | 25—25 | 25 |
| „ტორპედო" | 20 | 9 | 6 | 5 | 26—18 | 24 |
| „ჩერნომორ." | 20 | 8 | 8 | 4 | 29—22 | 24 |
| „სპარტაკი" | 19 | 8 | 7 | 4 | 20—15 | 23 |
| „დინ." (მ.) | 20 | 7 | 8 | 5 | 27—21 | 22 |
| „დნეპრი" | 20 | 7 | 7 | 6 | 18—22 | 21 |
| „შახტიორი" | 20 | 5 | 10 | 5 | 20—21 | 20 |
| „ფახთაქორი" | 20 | 6 | 7 | 7 | 31—32 | 19 |
| „არარატი" | 19 | 6 | 6 | 7 | 20—18 | 18 |
| „ქაირათი" | 19 | 5 | 8 | 6 | 28—27 | 18 |
| ცსკა | 20 | 5 | 7 | 8 | 22—26 | 17 |
| „დინ." (თბ.) | 20 | 4 | 9 | 7 | 16—26 | 17 |
| „ზარია" | 20 | 4 | 7 | 9 | 22—30 | 15 |
| „კარპატი" | 18 | 2 | 9 | 7 | 13—20 | 13 |
| „ნისტრუ" | 20 | 3 | 6 | 11 | 25—39 | 12 |

### II ლიგა

#### II ზონა

განვლილ ტურში ლანჩხუთის „გურიისა" და სამტრედიის „ლოკომოტივის" შეხვედრა ლანჩხუთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ვლადიმირი) | 28 | 16 | 8 | 4 | 43—18 | 40 |
| „დინამო" (ბათუმი) | 27 | 14 | 10 | 3 | 38—13 | 38 |
| „ისკრა" (სმოლენსკი) | 28 | 16 | 6 | 6 | 43—20 | 38 |
| „დილა" (გორი) | 27 | 15 | 5 | 7 | 61—31 | 35 |
| „დინამო" (ვოლოგდა) | 27 | 14 | 7 | 6 | 41—25 | 35 |
| „ურალანი" (ელისტა) | 28 | 14 | 6 | 8 | 37—26 | 34 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 27 | 13 | 7 | 7 | 38—23 | 33 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 27 | 11 | 8 | 8 | 31—33 | 30 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 28 | 11 | 7 | 10 | 42—28 | 29 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 28 | 7 | 13 | 8 | 35—35 | 27 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 28 | 11 | 5 | 12 | 35—36 | 27 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 28 | 10 | 5 | 13 | 29—33 | 25 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 27 | 8 | 9 | 10 | 34—45 | 25 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 27 | 10 | 4 | 13 | 37—35 | 24 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 28 | 10 | 3 | 15 | 28—37 | 23 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 27 | 8 | 5 | 14 | 30—46 | 21 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 28 | 8 | 5 | 15 | 29—54 | 21 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 28 | 7 | 6 | 15 | 21—36 | 20 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 27 | 3 | 7 | 17 | 15—56 | 13 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 27 | 5 | 2 | 20 | 16—53 | 12 |

# საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

## პირველი ჯგუფი

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 2:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ბრძოლა თავიდანვე დაძაბული იყო, თუმცა პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შემდგომში ჭითანავამ და დარასელიამ ორჯერ აიღეს „მაღაროელის" კარი. სტუმართაგან გოლი გაიტანა სევასტოპულომ.

უწესო საქციელისთვის მინდვრიდან გაძევებულია ჭიათურელი რ. ქორიძე.

● „მეტალურგი" (რუსთავი) — „კახეთი" (თელავი) 4:0. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

ანგარიში რუსთაველმა ზ. მაისურაძემ გახსნა 24-ე წუთზე. სტუმრებს სულ მალე მიეცათ საპასუხო ბურთის გატანის საშუალება, მაგრამ ცირეკიძის მიერ სუსტად დარტყმული პენალტი აიღო მელაძემ, ტაიმის დასასრულს კი „კახეთის" კარში მეორე გოლი აღმოჩნდა ჯაფარიძის დარტყმის შემდეგ.

მეორე ტაიმში გაგუამ და ჯიქიამ კიდევ 2 ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში, რომელსაც ცუდად იცავდა ვეკარე რეხვიაშვილი.

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:2. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

● „მეშახტე" (ტყიბული) — „ქართლი" (გორის რაიონი) 3:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ლოლომაძის, არსენიძისა და ბაბუხადიას სამ გოლს მხოლოდ ერთით უპასუხა მარღიშვილმა.

გაფრთხილება მიეცა ტყიბულელ ს. აუშტროვს, ხოლო „ქართლის" ნოთამაშე გ. მარღიშვილი მინდვრიდან გააძევეს.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

● ასკ (თბილისი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:0. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

ასპინძელმა ფეხბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს არმიელებს. ერთადერთი ბურთი, რომელმაც თბილისელებს მოუტანა გამარჯვება, 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა გვასალიამ.

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია არმიელი ბ. გოგიშვილი.

● „დინამო" (სოხუმი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 4:2. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ამ პრინციპულ მატჩში თავი გამოიჩინა სოხუმელმა დრაჩმა, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა.

გაფრთხილება მიიღო ოჩამჩირელმა ი. ლოგუამ.

● „განთიადი" (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „სულორი" (ვანი) 2:1. მსაჯი დ. კვინიკაძე (თბილისი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს ვანელებმა, რომლებმაც მატჩის დასაწყისში გახსნეს ანგარიში. შემდგომში ინიციატივა მასპინძელთა მხარეს გადავიდა, ქაჩიბაიამ გაქვითა გოლი და მსაჯის საფინალო სასტვენამდე 20 წამით ადრე იმავე ქაჩიბაიამ მეორე ბურთი გაიტანა „სულორის" კარში.

გაფრთხილებულია ვანელი ა. ტყეშელაშვილი.

● „ივერია" (ხაშური) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:1. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

გაფრთხილება მიეცათ „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს ზ. გომართელს და შ. ახალაიას.

## მეორე ჯგუფი

### I ზონა

„ალაზანი" (გურჯაანი) — „განახლება" (ადიგენი) 3:2, „მადნეული" (ბოლნისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „სამცხე" (აწყური) 10:4, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „განახლება" (ადიგენი) 1:2, „განთიადი" (კასპი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:1.

### II ზონა

„იმერეთი" (თერჯოლა) — „გახთიადი" (აბაშა) 5:2, „სამგურალი" (წყალტუბო) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 2:2.

### ზონალური შეჯიბრება

„არაგვი" (მცხეთა) — „მეშაქრე" (აგარა) 6:4, „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო) — „წინანდალი" (თელავი) 4:0, „შალაური" (ფშავი) — „ტეტნი" (თიანეთი) 2:1, „იორი" (სართიჭალა) — „ალაზანი" (ყვარელი) 1:2, „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 2:3. თეთრი წყაროს „გარისს" მოგება ჩაეთვალა ბოგდანოვკის „ფარვანასთან".

● ●

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 23 | 15 | 6 | 2 | 49—15 | 36 |
| „მაღარ." | 24 | 15 | 4 | 5 | 43—14 | 34 |
| ასკ (თბილისი) | 23 | 13 | 6 | 4 | 49—26 | 32 |
| „სალხინო" | 24 | 10 | 11 | 3 | 33—21 | 31 |
| „დინამო" | 23 | 12 | 6 | 5 | 41—22 | 30 |
| „მეტალურგი" (ზესტაფ.) | 23 | 10 | 7 | 6 | 39—30 | 27 |
| ფიზკ. ინსტ. | 21 | 10 | 6 | 5 | 41—31 | 26 |
| „ეგრისი" | 24 | 10 | 5 | 9 | 33—30 | 25 |
| „შუქურა" | 24 | 9 | 6 | 9 | 33—23 | 24 |
| „ლოკომოტ." | 21 | 8 | 8 | 5 | 32—27 | 24 |
| „კოლხეთი" | 23 | 7 | 10 | 6 | 30—28 | 24 |
| „კახეთი" | 23 | 9 | 6 | 8 | 38—38 | 24 |
| „ამირანი" | 23 | 9 | 5 | 9 | 25—27 | 23 |
| „ქართლი" | 24 | 8 | 5 | 11 | 37—41 | 21 |
| „მეშახტე" | 23 | 8 | 4 | 11 | 29—42 | 20 |
| „განთიადი" | 24 | 4 | 7 | 13 | 26—41 | 15 |
| „სულორი" | 24 | 5 | 5 | 14 | 23—64 | 15 |
| „ვარძია" | 24 | 5 | 3 | 16 | 19—44 | 13 |
| „სპარტაკი" | 24 | 4 | 4 | 16 | 27—54 | 12 |
| „ივერია" | 24 | 4 | 2 | 18 | 22—56 | 10 |

## იუმორესკა

# წინათ, ფეხბურთის დღეს

— რაო, ბილეთს ვერ აიღებთ? ჰმ, სასაცილოა! დღეს ხომ ფეხბურთია, ჩვენი დინამოელები თამაშობენ, მიხვდი? — იგი მიხვდა და ჩვენ მაშინვე წავედით.

ყველა სტადიონისკენ მიიჩქაროდა: ერთმანეთს ეჯახებიან, ტრამვაის კიბეს აკიდოებივით ეკიდებიან. ერთ აქოშინებულ ავტობუსს, რომელსაც ძრავიდან ორთქლის ბუღი ისე ამოსდიოდა, როგორც მდუღარე ქვაბს ოხშივარი, ჩვენც ჩამოვეკიდეთ.

როგორც იქნა სალაროებამდე მივაღწიეთ. იქ ჩვეულებრივზე გაცილებით ნაკლები რიგი იდგა. ბილეთმა ჩვენც მოგვიწია. გახარებულებმა ჩვენი ადგილები მოვძებნეთ. მალე დაბნელდა და ეკრანზე გამოჩნდა წარწერა: „ჩემი მშვენიერი ქალბატონი".

ეს ამბავი კარგა ხნის წინათ გადაგვხვდა. ასეთი ეშმაკობა დღეს აღარ მშველის.

დინამოელებო, ისევ თქვენ უნდა მიშველოთ!

ა. გურასაშვილი.

# პოლონელთა კარგი სტარტი
## საბჭოთა გუნდების მეტოქეთა საქმენი

მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების მფლობელმა — პოლონეთის ფეხბურთელებმა წარმატებით დაიწყეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი V ჯგუფში. პოლონელები ჰელსინკში შეხვდნენ ფინეთის ნაკრებს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 2:1.

მოსკოვის „დინამოს" მეტოქე უეფა-ს თასის გათამაშებაში — შვეციის „ესტიორსი" ეროვნულ ჩემპიონატში 17 ტურის შემდეგ 19 ქულით V ადგილზეა. 9 ქულით ჩამორჩება ლიდერს — „მალმიოს". „ესტიორსმა" ამას წინათ ვექშეში ამხანაგური მატჩი ჩაატარა ინდონეზიის ნაკრებთან და გაიმარჯვა — 9:2.

მოსკოვის „სპარტაკის" მეტოქემ უეფა-ს თასის გათამაშებაში — მოსტარის „ველეჟმა" წარუმატებლად დაიწყო იუგოსლავიის ჩემპიონატი: 4 ტურის შემდეგ მას 2 ქულა აქვს და XIV ადგილზეა.

ასევე მარცხიანად აიღო სტარტი ბულგარეთის ჩემპიონატში ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ", რომელიც თასების მფლობელთა თასის გათამაშების მატჩში უნდა შეხვდეს კიევის „დინამოს". III ტურში ცსკა-მ წააგო „დუნავთან" (0:1) და 2 ქულით IX ადგილზეა გათამაშების ცხრილში.

# კიეველებმა მოიგეს პრიზი

ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი „რეალი", „გრანადა", პორტუგალიის „ვიტორია" და კიევის „დინამო".

კიეველებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს „გრანადა" (ბურთები გაიტანეს ბურიაკმა, ტროშკინმა და მუნტიანმა) და ფინალში შეხვდნენ ვალიადოლიდის „რეალს", რომელმაც პენალტების სერიით მოუგო „სეტუბალს" — 6:5.

გადამწყვეტ მატჩში კიეველებმა სძლიეს „რეალს" — 2:0 (ონიშჩენკო, ბლოხინი) და მოიპოვეს პრიზი.

III ადგილზე გავიდა „გრანადა", რომელმაც დაამარცხა „ვიტორია" — 3:1.

# ლუჟნიკში დაბრუნება

მოსკოვი, 3 სექტემბერი. თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები, როგორც ცნობილია, ერთი დღით დაემშვიდობნენ ასპარეზობის მასპინძელ ქალაქ მოსკოვს — 2 სექტემბერს მიტიშჩის სასროლეთზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. და აი, დღეს ისინი კვლავ დაუბრუნდნენ ლუჟნიკს და აუზში გააჩაღეს ბრძოლა ჩემპიონატის მეოთხე, ბოლოსწინა სახეობაში.

საწყლოსნო ბილიკებზე უფროსებს ჯერ არცკი აეღოთ სტარტი, რომ სენსაცია იშვა: იუნიორთა ჯგუფის (21 წლის ასაკამდე) წარმომადგენელმა, მოსკოველმა ვ. გალავტინმა 300 მ თავისუფალი სტილით 3 წუთსა და 15,54 წამში გაცურა. ხუთჭიდელისთვის ამ ჩინებულმა შედეგმა გალავტინს 1300-ზე მეტი ქულა მოუტანა. მოსკოველი სპორტსმენის უახლოესმა მეტოქემ, ჰოლანდიელმა ვ. ბერგსმამ მხოლოდ 3.21,49 აჩვენა. ოთხი სახეობის ჯამში გალავტინი დაწინაურდა — 4225 ქულა. II ადგილზე გადავიდა ჩემპიონატის მანამდელი ლიდერი, ასევე საბჭოთა ხუთჭიდელი რ. რუსმანი — 4139. III ადგილზეა იტალიელი დ. მაზალა — 4103.

ასევე კარგად ასპარეზობს უ. პუტნინში (V ადგილი, 4047 ქულა) და სავსებით გასაგებია, რომ გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ნაკრები დაწინაურდა — 12362 ქულა. შემდეგ მოდიან ჩეხოსლოვაკიის გუნდი (11982), აშშ-ს კოლექტივი (11744) და უნგრეთის ნაკრები (11692).

ცურვაში უფროსებმაც კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს, მაგრამ გალავტინის შედეგი ვერავინ გააუმჯობესა. რას იზამ, ცურვა ხომ ახალგაზრდების, ნორჩი სპორტსმენების სახეობად ითვლება!

უფროსთა შორის საუკეთესო იყო კანადელი ჯ. ჰაასი — 3.21,26.

ცხადია, ყველაზე სასიამოვნო ის გახლავთ, რომ ოთხდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ „სენიორების" (ასე უწოდებენ უფროსებს) ჯგუფში საბჭოთა ათლეტები ლიდერობენ. ქულათა საუკეთესო ჯამი კვლავ პ. ლედნიოვს აქვს — 4155. II ადგილს ისევ ბ. ონიშჩენკო ინარჩუნებს, რომელსაც 4099 ქულა დაუგროვდა. III ადგილზეა ჯ. ფიცჯერალდი (აშშ) — 4066. IV ადგილამდე ამაღლდა სსრ კავშირის ნაკრების მესამე მონაწილე ვ. შმელიოვი — 4014.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო სამეული ჯერჯერობით ასეთია: სსრ კავშირი — 12280 ქულა, უნგრეთი — 11858, რუმინეთი — 11372.

• • •



სურათზე: მსოფლიო ჩემპიონატის მესამე სახეობა — სროლა. მიტიშჩის სარბიელზე.

ა. აბაზის ფოტო.
(„კომსომოლსკაია პრავდა").

# ბრინჯაო მასპინძლებს ხვდათ

კალიარი, 4 სექტემბერი. იტალიის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატი. სამ დასკვნით მატჩს აღარ შეეძლო კონტინენტის ჩემპიონის — საბჭოთა ნაკრებისა და გათამაშების ვერცხლის პრიზიორის — ჩეხოსლოვაკიის კოლექტივის პოზიციების შერყევა. მაგრამ III ადგილის მფლობელის გამოსავლენად ამ ბოლო სამ თამაშს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. იტალიის ეროვნულმა გუნდმა ანგარიშით 51:44 სძლია უნგრეთის ნაკრებს, ხოლო ბულგარელებმა მარცხის სიმწარე იწვნიეს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან მატჩში — 71:72. სწორედ ამან მასპინძლებს ბრინჯაოს ჯილდოები არგუნა.

რუმინეთის ნაკრებმა დაამარცხა საფრანგეთის გუნდი და VI ადგილი დაიკავა.

ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი (პირველი ათეული) ასეთია: სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, იტალია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, იუგოსლავია, პოლონეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

# კმაყოფილი არიან

შინაარსიანად გაატარა საზაფხულო არდადეგები ზესტაფონის მე-3 და 1-ლი საშუალო სკოლების მოსწავლეთა ჯგუფმა, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო ტურისტული სადგურის მიერ მოწყობილ ნორჩ მხარეთმცოდნეთა XVII რესპუბლიკურ შეკრებაზე იყო. შეკრება ბორჯომის რაიონის სოფელ გვერდისუბანში ჩატარდა.

ზესტაფონელი ნორჩი ტურისტები დიდად კმაყოფილი არიან. მათ გამხნევებულებმა დაიწყეს ახალი სასწავლო წელი.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

# მარადიული ქალაქი, „სტადიო ოლიმპიკო“



ი. შევინსკა.

● ●

რომი, 4 სექტემბერი. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის მეორე დღეს ვ. ბორზოვმა კვლავ დაამტკიცა, რომ ორი წლის წინანდელი ოლიმპიური ტრიუმფი შემთხვევითი არ იყო და კვლავ კონტინენტის უძლიერეს სპრინტერად რჩება. მან ამჯერადაც დამაჯერებლად მოიგო ოქროს მედალი 100 მეტრზე რბენაში, თანაც გაიმეორა ამ შეჯიბრებათა უმაღლესი მიღწევა — 10,3 (უფრო ზუსტად, ბორზოვის შედეგი ელექტრონული ტაიმერის თანახმად 10,27 წამს უდრის). საბჭოთა სპრინტერი მესამედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

სტარტი ბორზოვმა იტალიელ პ. მენეას გვერდით აიღო. რომაელი სტუდენტი, უნივერსიადა-73-ის ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში, ჯერ კიდევ შარშან ითვლებოდა ბორზოვის მთავარ მეტოქედ. ადგილობრივი გულშემატკივრები მთავარ იმედებს სწორედ მასზე ამყარებდნენ და რა გასაკვირია, რომ ფინალური გარბენის სანახავად ოლიმპიურ სტადიონს უამრავი ხალხი მიაწყდა. რომში მენეას პორტრეტებსაც კი ჰყიდდნენ, რომლებზეც წარწერილი იყო „ჩემპიონი“.

... მესტარტის ნიშანზე ფინალის მონაწილენი მოწყდნენ ადგილს და მაშინვე გახდა ცხადი, რომ ბორზოვი წინ იყო. მენეა ძალიან ცდილობდა დასწეოდა მეტოქეს, მაგრამ ამაოდ. საბოლოოდ მან ვერცხლის მედალი დაიმსახურა — 10,34.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფინალში კიდევ ორი საბჭოთა სპორტსმენი იბრძოდა. რიგელმა ი. სილოვმა და გფრ-ის წარმომადგენელმა დ. ბილერმა ერთნაირი დრო (10,35) აჩვენეს, მაგრამ ფოტოფინიშმა III ადგილი გერმანელ სპრინტერს მიაკუთვნა. თავის შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდა მოსკოველი ა. კორნელიუკი. იგი VIII ადგილზე დარჩა — 10,43.

ამავე მანძილზე ქალთა ფინალურ გარბენში მონაწილეობის უფლება მიიღო მოსკოველმა ლ. მასლაკოვამ (შარშან საბჭოთა სპორტსმენი ქალები ფინალში არ მოხვედრილან). მან ცუდი შედეგი (11,36) არ აჩვენა და IV ადგილი დაიკავა. უმაღლესი ტიტულისთვის კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სპრინტის ორი „დედოფალი“ იბრძოდა — რ. შტეჰერი (გდრ) და ი. შევინსკა (პოლონეთი). გამარჯვება ამჯერად შევინსკას დარჩა.

გასული სამშაბათი საბჭოთა მძლეოსნებმა კიდევ ერთი გამარჯვებით აღნიშნეს: 20-კილომეტრზე სპორტულ სიარულში პირველობა არავის დაუთმო 38 წლის ვ. გოლუბნიჩიმ — 1:29.30,03. ამ დღეს მარადიული ქალაქის ქუჩებში აუტანელი სიცხე იდგა, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენი ენერგიულად მიიკვლევდა გზას აღტაცებული მაყურებლების მწკრივში. ერთხანს მას უცხოელ სპორტსმენთა შორის უდავოდ უძლიერესი, ოლიმპიური ჩემპიონი ბ. კანენბერგი (გფრ) აედევნა, მაგრამ მისი ცდა უნაყოფო გამოდგა. ოფლში გაღვრილი და დაღლილი გერმანელი გამარჯვებულს მთელი 40 მეტრით ჩამორჩა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა, 20 წლის ვ. შალოშიკმა — 1:31.47,85.

შუბის მტყორცნელ ქალთა შეჯიბრებას „ოქროს წერტილი“ დაუსვა 28 წლის ლაიპციგელმა, ფიზიკის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. ფუქსმა. მან შუბი 67,22 მეტრზე ტყორცნა (ეს შედეგი მსოფლიო რეკორდია). საბჭოთა მძლეოსნის, 20 წლის რიგელი ტ. ჟიგალოვას მაჩვენებელი 56,64 მეტრია (VII ადგილი). რაც შეეხება, უნივერსიადა' 73-ის ჩემპიონს, გამოცდილ საბჭოთა მძლეოსან ს. ბიზიჩს, მან არც თუ ისე მაღალი საკვალიფიკაციო ნორმატივი (54 მ) ვერ შეასრულა და, ცხადია, ფინალშიც ვერ მოხვდა.

ქალთა შორის სიგრძეზე ხტომა მოიგო 23 წლის უნგრელმა ი. ბრუქენიაკმა — 665 სმ.. მოსკოველებმა ლ. ალფეევამ და ტ. ტიშოხოვამ შესაბამისად VI და VII ადგილები დაიკავეს. ალფეევას შედეგია 654 სმ, ტიშოხოვასი — 650. გორკელი ა. ლოტოვა X ადგილზე გავიდა — 629 სმ.

ბ. გუსოვცევი,
ლ. პოლუნინი.
(საკდესის სპეც. კორ.).

● ●



ვ. ბოლუბნიჩი.
ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

## ბორზოვით აღტაცებული არიან

სტოკჰოლმი, 4 სექტემბერი. „საბჭოთა სპრინტერი, 25 წლის ვალერი ბორზოვი 70-ანი წლების სპორტსმენია. ჩემპიონატის დროს ყურადღების მოკრებაში მას ბადალი არ ჰყავს, ამ მხრივ მართლაც ოსტატია. მიუნჰენში ორმაგი წარმატების შემდეგ მიღებული ტრავმის გამო ზოგიერთს კიდევაც ეგონა, რომ ბორზოვი დიდ სპორტს დაემშვიდობებოდა. მაგრამ იგი დაბრუნდა და კვლავ გვიჩვენა თავისი შესანიშნავი ოსტატობა 100 მეტრზე რბენის ფინალში. რომში ბორზოვმა საუცხოო სტარტით საძირკველი ჩაუყარა თავის გამარჯვებას. იგი პირდაპირ მიფრინავდა ფინიშისკენ, მეტოქეთა მხრივ არავითარ საფრთხეს არ გრძნობდა“, — წერს შვედური გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა „არავინ, ყოველ შემთხვევაში, ევროპიელთა შორის, ვერავინ შეედრება ბორზოვს მოგებული ოფიციალური გარბენების რაოდენობით“. (საკდესი).

# ის, რაც სტამბულში მოხდა

სტამბული, 4 სექტემბერი. იშვიათად, რომ ერთი ქვეყნის მოჭიდავეებმა ასეთ გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიონ. ფინალში მონაწილეობის უფლება დაკარგა მხოლოდ ორმა საბჭოთა ათლეტმა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 8 დანარჩენი სპორტსმენი უსათუოდ მიიღებდა მსოფლიო ჩემპიონატის რომელიმე ჯილდოს.

თავისუფალ ჭიდაობაში მოსკოველი რომან დმიტრიევი (52 კგ) აღიარებული ფავორიტია. მისგან, როგორც წესი, მუდამ უმაღლეს ჯილდოს ველით, ამიტომაც იაპონელ უ. ტაკედასთან წაგებამ და ისიც ფინალამდე, საგრძნობლად გააფუჭა ფავორიტის მდგომარეობა. დმიტრიევი გადამწყვეტი შერკინებების წინ ჩემპიონობის მხოლოდ თეორიულ შანსებს ინარჩუნებდა, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონი, როგორც გამოჩნდა, არ იყო მზად ძნელი გამოცდისთვის. მან რისვაი-ვაგლახით ფრედ დაამთავრა შეხვედრა თურქ ალანთანაც და საბოლოო ჯამში ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ეს იყო სტამბულის ტურნირის პირველი სენსაცია.

მეორე სენსაცია მსუბუქ წონაში (62 კგ) მოხდა. უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა მონგოლმა ზ. ოიდოვმა, მანამდე სრულიად უცნობმა მოჭიდავემ. თანაც ოიდოვმა ყველა ბრძოლა ან წმინდად მოიგო, ან აშკარა უპირატესობით. ამ წონაში საბჭოთა ჩემპიონს ბ. გაჯიევს მხოლოდ V ადგილი ხვდა.

მოულოდნელი იყო ს. ანდიევის ვერცხლის მედალიც მძიმე წონაში. ანდიევმა ვერაფრით ვერ გაართვა თავი ფინალური შეხვედრების სიმძაფრეს. მან ჯერ ფრედ დაამთავრა შეხვედრა ბულგარელ ბ. ბაევთან, მერე კი რუმინელ ლ. შიმონთან დამარცხდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუმინელმა ყველა ქულა მეტოქეს კონტრიერიშის დროს აართვა.

დასანანად დამარცხდა ფინალში რ. გაჯიევიც (48 კგ). მანამდე მას მხოლოდ 0,5 საჯარიმო ქულა ჰქონდა და ყველაზე კარგი პერსპექტივები, მაგრამ ბულგარელმა ჰ. მიურსელოვმა ენერგიულად წარმართა შეხვედრა საბჭოთა ათლეტთან და გაიმარჯვა. გამწარებულმა გაჯიევმა ბოლო შერკინება კანადელ ჟ. ბერტიეს დამაჯერებლად მოუგო, მაგრამ უკვე გვიან იყო: ოქროს მედალი მას თვალსა და ხელს შუა „ააცალეს“.

დანარჩენ წონითს კატეგორიებში მოჭიდავეების უპირატესობა აშკარა იყო — ექვსივე ათლეტმა ოქროს მედალი მოიპოვა.

ნამდვილი მებრძოლის თვისებები გამოამჟღავნა ვ. იუმინმა (57 კგ). შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა, ტრავმის მიუხედავად, ძლიერად ჩაატარა ფინალური შეხვედრა ირანელ რ. კადერთან და სასურველ შედეგს მიაღწია.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ნ. ნასრულაევმა (68 კგ) და რ. აშურალიევმა (74 კგ). ისინი მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ წინასწარი შეხვედრების დროსაც და ფინალშიც. ნასრულაევმა, მაგალითად, ორი ბრძოლა ჩაატარა და ორივე წმინდად მოიგო, ჯერ ამერიკელ ჯ. დევისთან, მერე კი თურქ მ. სარისთან.

უფერულად დაიწყო ჩემპიონატი ვ. ნოვოჟილოვმა (82 კგ), მაგრამ თანდათან ფორმაში შევიდა და გადამწყვეტი შეხვედრები ჩვეული, აგრესიული სტილით ჩაატარა. ასე მოუგო მან გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტსა და თავის ძირითად კონკურენტს მ. უზუნს (თურქეთი).

სპეციალისტების აზრით, არც ერთ წონით კატეგორიაში არ იგრძნობოდა ისეთი სხვაობა ჩემპიონსა და ამ ტიტულის მთავარ მაძიებლებს შორის, როგორც მეორე საშუალო წონაში (90 კგ). მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა ყველა შერკინება წმინდად მოიგო, გარდა ერთისა. მაგრამ ამჯერადაც, თურქ მ. გიურჩლიუსთან შეხვედრაში ქართველი ათლეტის უპირატესობა აშკარა იყო. თედიაშვილი დღეს მთელი თავით მაღლა დგას მეტოქეებზე და ჯერჯერობით არც ჩანს ისეთი ძალა, რომელსაც ძალუძს ამ შეფარდების შეცვლა.

დამსახურებულად გაიმარჯვა ქვემძიმე წონაში ვ. გულიუტკინმაც. ყველაზე უფრო საინტერესო კი ის არის, რომ საბჭოთა ნაკრების ვეტერანმა დამაჯერებლად დაიბრუნა 4 წლის წინ დაკარგული უმაღლესი ტიტული. მხოლოდ ერთმა მეტოქემ — ევროპის ჩემპიონმა ჰ. ბიუტნერმა გაუძლო მას მთელი 9 წუთის მანძილზე, მაგრამ ვაი ასეთ გაძლებას!

სსრ კავშირის მოჭიდავეებმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს — ეს უდავო ფაქტია. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით გუნდის მწვრთნელებს მოსკოველ ი. შახმურადოვს, ბაქოელ ა. იბრაჰიმოვსა და კრასნოიარსკელ დ. მინდიაშვილს.

„ლელოს“ მიმომხილველი.

* * *

გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. ჰ. მიურსელოვი (ბულგარეთი), 2. რ. გაჯიევი (სსრ კავშირი), 3. ჟ. ბერტიე (კანადა).

52 კგ. 1. უ. ტაკედა (იაპონია), 2. ა. რ. ალანი (თურქეთი), 3. რ. დმიტრიევი (სსრ კავშირი).

57 კგ. 1. ვ. იუმინი (სსრ კავშირი), 2. რ. კადერი (ირანი), 3. ჰ. ბრუკჰარდი (გდრ).

62 კგ. 1. ზ. ოიდოვი (მონღოლეთი), 2. დ. ჟეკოვი (ბულგარეთი), 3. ვ. აკდაგი (თურქეთი).

68 კგ. 1. ნ. ნასრულაევი (სსრ კავშირი), 2. ი. სუგავარა (იაპონია), 3. ტ. ნაცაგდორჯი (მონღოლეთი).

74 კგ. 1. რ. აშურალიევი (სსრ კავშირი), 2. ლ. პავლოვი (ბულგარეთი), 3. ვ. ზილბერმანი (ისრაელი).

82 კგ. 1. ვ. ნოვოჟილოვი (სსრ კავშირი), 2. მ. უზუნი (თურქეთი), 3. ვ. იორგა (რუმინეთი).

90 კგ. 1. ლ. თედიაშვილი (სსრ კავშირი), 2. ი. აბილოვი (ბულგარეთი), 3. მ. გიურჩლიუ (თურქეთი).

100 კგ. 1. ვ. გულიუტკინი (სსრ კავშირი), 2. ხ. ბაიანმუნხი (მონღოლეთი), 3. ჰ. ბიუტნერი (გდრ).

მძიმე. 1. ლ. შიმონი (რუმინეთი), 2. ს. ანდიევი (სსრ კავშირი), 3. ბ. ბაევი (ბულგარეთი).

გუნდური ადგილები. 1. სსრ კავშირი — 52 ქულა, 2. ბულგარეთი — 29,5, 3. თურქეთი — 25, 4. მონღოლეთი — 18,5, 5. იაპონია — 17,5 6. რუმინეთი — 14.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისი სპორტული ბაზრობა

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. 37). სსრ კავშირის ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ფინალი. 5-24 სექტემბერი. 5 სექტემბერს გაიმართება III ტური, 6-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 15 ს.

## 6 სექტემბერს

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სპორტულ მოედნებზე მოეწყობა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისადმი მიძღვნილი ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „განთიადის“ თბილისის სპარტაკიადის საზეიმო გახსნა.
დასაწყისი 17 ს.

## ფეხბურთი — სახიფათო სპორტი

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს სამთოსათხილამურო სპორტში, ავსტრიელ ანემარი პროლს ამ ბოლო ხანს ფეხბურთის სტადიონზე უფრო ხშირად ნახავდით, ვიდრე სათხილამურო ტრასებზე. ანემარი ცოლად გაჰყვა ავსტრიის II ლიგის ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელს ჰერბერტ მოზერს და იმ დღიდან ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი გახდა. მსოფლიო ჩემპიონმა ფეხბურთის თამაშის სურვილიც კი გამოთქვა, მაგრამ ქმარმა ქვა აავდო და თავი შეუშვირა: ფეხბურთი სპორტის იმდენად სარისკო სახეობაა, რომ არ მინდა ჩემი ცოლი რაიმე ხიფათს გადაეყაროსო.

## ლინჩი არ შედგა

ამას წინათ მესინაში (იტალია) სასამართლოს წინაშე წარსდგა ათი „ტიფოზი“, რომლებიც ცდილობდნენ ლინჩის წესით გაესამართლებინათ არბიტრის ორი თანაშემწე. გამხეცებულმა „ტიფოზებმა“ შეამტვრიეს სამსაჯო ოთახის კარი და გარეთ გამოიყვანეს „დამნაშავენი“. კიდევ კარგი, რომ პოლიციამ დროზე დააოკა თავგასული გულშემატკივრების ვნებანი.

## ასეთია ცხოვრება

... არგენტინის პოპულარული კლუბის „რივერ პლეიტის“ დირექცია საგონებელში იყო ჩავარდნილი: არ იცოდა როგორ გაენაწილებინა ფეხბურთელთათვის წლიური პრემიები.

ამ დროს შენობაში შეიარაღებულ ბანდიტთა ჯგუფმა შეაღწია. სულ რამდენიმე წუთში გაქრნენ ფულიცა და ბანდიტებიც.

— ასეთია ცხოვრება, — ფილოსოფიურად წარმოთქვა კლუბის პრეზიდენტმა, პოლიცია გამოიძახა და თავისი საქმეები გააგრძელა.

## თაიგულების ნაცვლად გოლები

ქალაქ მალაგის (ესპანეთი) ფეხბურთელთა გუნდმა მაყურებლების გულის მოგების მიზნით ერთ-ერთი მატჩის წინ ტრიბუნებზე ყვავილების თაიგულები ჩამოარიგა. მაგრამ ძღვენი ფეხბურთელებს უმალვე უკან დაუბრუნდათ: „არ გვინდა თაიგულები, გოლები მოგვეცით, გოლები!“ — ყვიროდნენ გულშემატკივრები.

## წაგება... ორივე გუნდს

ასეთი შედეგით ფეხბურთელთა არც ერთი მატჩი არ დამთავრებულა მსოფლიოში. ტექნიკურმა კომისიამ და არბიტრმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც აღნიშნული იყო... ორივე გუნდის წაგება.

ეს მოხდა ესპანეთის ქალაქ სანტანდერში. ის-ის იყო დაიწყო ადგილობრივი გუნდების შეხვედრა, რომ სტადიონს შავი ღრუბლივით დააწვა კოღოების ურიცხვი რაზმი. ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა გაქცევით უშველეს თავს. ადგილზე დარჩნენ მხოლოდ ტექნიკური კომისიის წევრები და არბიტრი, რომლებმაც მშვიდად გააფორმეს ორივე გუნდის წაგება.



გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა ორშაბათისა და ბარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მისწრაფე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02807